გაუმარჯოს სულით დემოკრატს

ის, ვინც აცხადებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია ბუნებრივათ ერთნაირი უფლებით, რომ ყველა უნდა სარგებლობდეს პიროვნულად თავისუფლებით და მოქალაქეობრივათ სწორუფლიანობით და ამ განცხადებაში არ გულისხმობს ორთავე სქესს, ის - დამრღვევია დემოკრატიული პრინციპისა.

ის, ვინაც ფიქრობს, რომ მოქალაქური უფლების ღირსი მხოლოდ მამრობითი სქესია, რომელიც უნდა იქნმეს ერთადერთ გამგედ საზოგადო კანონმდებლობისა და წესწყობილებისა, ის არასდროს არ იქნება და არც ჩაითვლება ხალხის მეგობრად და თუ ასეთი კაცი თავის თავს დემოკრატს უძახის ის, - დემოკრატია მხოლოდ მისთვის, რომ არ დაბადებულა თავადათ. ასეთი მარტო ერთი შთამომავლობით დემოკრატი, ვერ იქნება ვერც განმამტკიცებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და ვერც დამცველი სამართლიანობისა და თანასწორობისა.

დემოკრატს ვეძახით ჩვენ მხოლოდ მას, ვინც იცავს ადამიანის პიროვნებას ქალია, ის თუ კაცი, ყოველგვარ ძალმომრეობისაგაც, ვინაც იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს არავითარ კაცისაგან კაცის ჩაგვრას იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის ემსახურება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაც ხალხის სახელით სამართლიანობას გაყივის და გულში კი სექსური პრივილეგიის დამცველია, ასეთი მყვირალა დემოკრატიის მიზანია, დამარცხებული ბატონების ადგილი დაიჭიროს თვისდა გასაბატონებლად.

ასეთი „დემოკრატი“ უფლებისათვის მებრძოლ ქალებს არა..... არამედ მის წინააღმდეგ ამხედრებს კიდეც.

ჩვენ არ გვაშინებს ქალთა უფლების მტერთა ფიზიკური ძალა, რადგან მუშტის ღონე შეერთებულ დედაკაცების დიად ზნეობრივ ძალასთან, ისეთ საბრალოთ მიგვაჩნია, რომლეზედაც ლაპარაკიც არა ღირს.

ჩვენ ვეძახით დემოკრატს იმას, ვინც ორთავე სქესის ღირსეულ ადამიანურ ცხოვრებისათვის იბრძვის და ვინც ხელს უშლის მას ამ პატიოსან გზაზე ქალი იქნება ის, თუ კაცი არავის არ დაინდობს. ასეთი დემოკრატი ჩვენი ძმა და მეგობარია და მათთან ერთად ჩვენ შევსძლებთ იმ დემოკრტიული მინდვრის გასწმენდას, რომელზედაც ამდენი ქალთა უფლების მტერნი აღმოცენდა.

გაუმარჯოს სულით დემოკრატს.

1917 წელი, #4